ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:№97. 9723053001
თარიღი:22/02/2023

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე N-2 სხდომის

ოქმი

დ. ლენტეხი. 16თებერვალი.2023წ.

მიმდინარე წლის 16 თებერვალს დღის 15 საათზე გაიმართა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა. სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა. სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 15 (თუთხმეტი) წევრი. საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა საკრებულოს 6 (ექვსი)წევრი.

მოწვეული სტუმრებიდან სხდომას ესწრებოდა: მერიის არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ლევან ლიპარტელიანი.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს აპარატის ხელმძღვანელი მაყვალა ჩანქსელიანი და დამხამარე სპეციალისტი ანა შუკბანიანი.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა სხდომის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. **დაბა ლენტეხში აღმაშენებლის ქუჩაზე დახლების მოწყობის პროექტის მოწონების თაობაზე.**

   /მომხს.ლ.ლიპარტელიანი/

2. **დაბა ლენტეხში ლადო მუსელიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კეთილმოწყობისა და ბილიკების მოწყობის პროექტის მოწონების თაობაზე.**

/მომხს. ლ.ლიპარტელიანი/

3. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შტატგარეშე მოსამსახურეთა რიცხოვნების განსაზღვრის შესახებ.**

/მომხს. დ.პირველი/

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

ღია კენჭისყრით:

მომხრე -15

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1.მოისმინეს: მერიის არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა ლევან ლიპარტელიანმა სხდომის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - დაბა ლენტეხში აღმაშენებლის ქუჩაზე დახლების მოწყობის პროექტის მოწონების თაობაზე.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ბაზრის არ არსებობა დაბაში დიდი ხანია არის გადაუჭრელი პრობლემა. წელს გრანტების დაფინასების ორგანიზაციასთან მოგვარდა ამ პრობლემის გადაჭრა და შევარჩიეთ ადგილი აღმაშენებლის ქუჩაზე., ყოფილი ბაზრის ახლოს. მართალია მოცულობით არ არის დიდი ფართი, მაგრამ შეიზლება რომ გაკეთდეს მისაღები ბაზარი.

აზრი გამოთქვა: გიორგი გაზდელიანმა - რა თქმა უნდა პროექტი მისაღებია, ძალიან კარგია, რომ ეს პრობლემა გადაიჭრება, მაგრამ შეიძლება ეს პროექტი განხორციელდეს ყოფილი საავადმყოფოს ეზოს მიმდებარე ტერიტორიაზე ან შეიძლება კიდევ გამოვნახოთ უფრო მისაღები ადგილი.

საკრებულოს წევრებმა გარკვეული მსჯელობის შემდეგ

ღია კენჭისყრით:

მომხრე - 15

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მოწონებული იქნას განკარგულების პროექტი - დაბა ლენტეხში აღმაშენებლის ქუჩაზე დახლების მოწყობის თაობაზე.

2. მოისმინეს: მერიის არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა ლევან ლიპარტელიანმა სხდომის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - დაბა ლენტეხში ლადო მუსელიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კეთილმოწყობისა და ბილიკების მოწყობის პროექტის მოწონების თაობაზე.

აზრი გამოთქვეს გიორგი გაზდელიანმა და დავით პირველმა - ამ პროექტში უნდა შევიდეს კორექტირება, კერძოდ შეიძლება, რომ გავზარდოთ პროექტის დაფინანსება და განხორციელდეს უფრო მაშტაბური პროექტი. გათვალისწინებული იქნას პატარა მოედნის მოწყობა და ამ მოედნიდან ხიდი ს მეშვეობით ხდებოდეს გადასვლა ამაღლების ეკლესიისკენ მიმავალ ბილიკზე. ეს არის რაიონის შემოსასვლელი და თუ შევძელით, პროექტის ასეთი სახით განხორციელებას, ეს გარემოება ძალიან მიმზიდველს გახდის დაბას ვიზიტორებისთვის.

დეპუტატებმა მოიწონეს ეს მოსაზრება და გამოთქვეს აზრი, რომ მოეწყოს ღია კარის დღე ამ თემაზე. ჩაერთოს მუზეუმის დირექტორიც და მოსახლეობასთან შეთანხმებით და მათი მოსაზრებების გათვალიწინებით შეირჩეს პროექტი.

გადაწყვიტეს: პროექტი - დაბა ლენტეხში ლადო მუსელიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კეთილმოწყობისა და ბილიკების მოწყობის თაობაზე დროებით შეჩერებული იქნას.

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დავით პირველმა სხდომის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შტატგარეშე მოსამსახურეთა რიცხოვნების განსაზღვრის შესახებ.

შენიშვნა საკითხთან დაკავშირებით არ ყოფილა.

ღია კენჭისყრით: მომხრე -15

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შტატგარეშე მოსამსახურეთა რიცხოვნების განსაზღვრის შესახებ.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დამთავრდა დღის 16 საათზე დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი